ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
CITY COUNCIL OF LENTEKHI MUNICIPALITY

განკარგულება:**გ-97. 972530313**
თარიღი:**30/10/2025**

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ლენტეხის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 27 აპრილის N24 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 23-ე მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად, ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გადაწყვიტა:

მუხლი 1.

1. ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოში კომისიების წევრთა რაოდენობა (შემადგენლობა) განისაზღვროს 5 (ხუთი)საკრებულოს წევრით, ხოლო საკრებულოს წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის კვოტები საკრებულოს თითოეულ კომისიაში განისაზღვროს შემდეგნაირად:

ფრაქციები:

ა) ფრაქცია „ ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ – 3 წევრი;

ბ) ფრაქცია “ ხალხის ძალა “ – 1 წევრი;

2. საკრებულოს იმ წევრებს, რომლებიც გაწევრიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში, თითოეულ კომისიაში წევრის წარსადგენად განესაზღვროთ 1 (ერთი) კვოტა.

მუხლი 2.

განკარგულება ერთი თვის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს ლენტეხის მაგისტრატ სასამართლოში (მისამართი: დ.აღმაშენებლის N-17) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია მიღებისთანავე.

დავითი პირველი

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი